ქ-ნ მ. ქადეიშვილს

გასაცნობად და საქმეში გასათვალისწინებლად

კ. ბექაური
02.08.2017წ.

№89 02.08.2017 წ.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის
თავმჯდომარეს ბ-ნ კახი ბექაურს
შპს „რადიოცენტრი პლუს"-ის ს/კ:211393188
მის.: ქ.თბილისი; იოსებიძის ქ.49
დირექტორის ქ-ნ ინგა დადიანის

განცხადება

მოგმართავთ წინამდებარე განცხადებით, ქალაქ ბათუმში არსებულ თავისუფალ სიხშირულ რესურსთან (გადაცემის და ანტენის განთავსების ადგილი - ქ.ბათუმი, საქართველოს ტელერადიოცენტრის ანძა; სიხშირე მჰც - 97.3.; მოდულაცია - FM;) დაკავშირებით კერძო მაუწყებლობის ლიცენზიის მისაღებად გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობის მიზნით. შპს „რადიოცენტრი პლუს"-ის მიერ №88 განცხადებით სხვა ინფორმაციასთან ერთად წარმოდგენილი იყო შემდეგი დოკუმენტაცია:

#88 განცხადებაზე თანდართული დოკუმენტების ჩამონათვალი:

1. დანართი #1 – ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან, 2 (ორი) გვერდად.
2. დანართი #2 – სალიცენზიო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი საბუთი, 1 (ერთი) გვერდად.
3. დანართი #3 – შესაბამისობის დეკლარაცია, 1 (ერთი) გვერდად.
4. დანართი #4 – ინფორმაცია საწესდებო კაპიტალისა და აქტივების საკუთრებისა და წარმოშობის შესახებ, 2 (ორი) გვერდად.
5. დანართი #5 – მნიშვნელოვანი წილის მფლობელ პარტნიორთა/აქციონერთა ქონებრივი დეკლარაცია, 8 (რვა) გვერდად.
6. დანართი #6 – ცნობა განცხადებული საწესდებო კაპიტალისა და მისი განაღდებული ნაწილის შესახებ, 1 (ერთი) გვერდად.
7. დანართი #7 – ცნობა აქტივებისა და პასივების შესახებ, 1 (ერთი) გვერდად.
8. დანართი #8 – პრაქტიკული საქმიანობის დაწყების ვადა, 1 (ერთი) გვერდად.
9. დანართი #9 - განსახორციელებელი საქმიანობის დაფინანსების გეგმა და ინფორმაცია დაფინანსების წყაროების შესახებ, 1 (ერთი) გვერდად.
10. დანართი #10 – დოკუმენტაცია პროგრამების გავრცელებისთვის გამოსაყენებელი ტექნიკური საშუალებების თაობაზე, 14 (თოთხმეტი) გვერდად.
11. დანართი #11 - განსახორციელებელი სამაუწყებლო კონცეფცია, 5 (ხუთი) გვერდად.
12. დანართი #12 – სალიცენზიო გადასახდელის 10%-ის გადახდის დამადასტურებელი საბუთი, 1 (ერთი) გვერდად.
13. დანართი #13 - მინდობილობა, 1 (ერთი) გვერდად.

როგორც თქვენთვის ცნობილია, ამა წლის 27 ივლისს გამართულ მოსამზადებელ სხდომაზე შპს „რადიოცენტრი პლუს"-ს განესაზღვრა ხარვეზი, რომლის აღმოსაფხვრელად კომისიამ ითხოვა კომპანიისგან განმარტების წარმოდგენა. წინამდებარე განცხადებით, ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით, წარმოგიდგენთ შპს „რადიოცენტრი პლუს"-ის ინფორმაცია/განმარტებას, კერძოდ, შპს "რადიოცენტრი პლუს"-ის ხარჯების დაფარვა ხდება საწესდებო კაპიტალით, კომპანიის ხარჯების გამო საწესდებო კაპიტალის 842611 ლარის შემცირება მოხდა და პასივებმა 134665 ლარი შეადგინა.

გთხოვთ, წინამდებარე განცხადება მიიღოთ წარმოებაში და განიხილოთ მანამდე წარმოდგენილ დოკუმენტებთან ერთად.

ინგა დადიანი
შპს "რადიოცენტრი პლუს"-ის დირექტორი

შემოსულია №76/5740.17
2 08 2017
1 ფურცელი